დასკვნა:**დ02. 3723051001**
თარიღი:**20/02/2023**

დასკვნა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ,,სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიამ" განიხილა საკრებულოს წევრის ტარიელ აროშიძის ინიციატივა, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ თხინვალის ტერიტორიაზე არსებული უსახელო ქუჩისათვის ,,სერის ქუჩის" სახელის მინიჭების შესახებ.

2023 წლის 27 იანვარს სოფელ თხინვალში მოეწყო შემაჯამებელი შეხვედრა ადგილობრივ მოსახლეობასთან და გაიმართა სოფელ თხინვალის ტერიტორიაზე არსებული არასახელდებული ქუჩისათვის ,,სერის ქუჩა" - სახელის მინიჭების ინიციატივის საჯარო განხილვა.

ზემოთ აღნიშნული უსახელო ქუჩისათვის ,,სერის ქუჩა"-ს სახელის მინიჭების ინიციატივა განაპირობა:

1. რამოდენიმე ათეული წელია აღნიშნულ ქუჩას ადგილობრივები და არა მარტო ადგილობრივები მოიხსენიებენ როგორს სერის უბანს. აღნიშნულიდან გამომდინარე, ადგილობრივი მოსახლეობა მოითხოვს, ,,სერის უბანზე" არსებულ უახელო ქუჩას ეწოდოს ,,სერის ქუჩა".

2. ,,სერის უბანი" სრულ თანხვედრაშია სიტყვა ,,სერის" საყოველთაოდ დამკვიდრებულ განმარტებასთან. აღნიშნული უბნის ქუჩა წარმოადგენს საშუალო სიმაღლის მოგრძოდ წამოზიდულ რელიეფს. ამასთან ერთად უსახელო ქუჩის გზაზე საკმაოდ ხშირად არის ბორცვებიც, რომელთა ფერდობების დახრილობა 20%-ზე ნაკლებია.

3. ადგილობრივი მოსახლეობის გარკვეული ნაწილი აღნიშნავს, რომ სახელწოდება ,,სერის უბანი" უკავშირდება ოდითგანვე დამკვიდრებულ ტრადიციას, რომელსაც დღესაც არ დაუკარგავს აქტუალობა. საქმე იმაშია, რომ ,,სერის უბანში" გამავალი ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე, მოსახლეობა ხშირად იკრიბება ე.წ. ,,სერობაზე", სადაც ერთობიან და მოილხენენ კიდეც.

ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, კომისიამ ერთხმად დაუჭირა მხარი სოფელ თხინვალში არსებული უსახელო ქუჩისათვის ,,სერის ქუჩა" - სახელის მინიჭების ინიციატივას და დაადგინა:

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ თხინვალის ტერიტორიაზე არსებულ უსახელო ქუჩას, თანდართული სიტუაციური ნახაზის შესაბამისად ეწოდოს ,,სერის ქუჩა".

2. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფ. თხინვალის ტერიტორიაზე არსებული

უსახელო ქუჩის სახელდების შესახებ საჭირო დოკუმენტაცია გადაეგზავნოს კანონით განსაზღვრულ შესაბამის სახელმწიფო სტრუქტურებს.

ბექა თოიძე

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და
ინფრასტრუქტურის კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი